საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თბილისი **6 ნოემბერი 2014 წ.**

შესყიდვის საგანი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ ქ. ხაშურში, სააკაძის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის (ყოფ. საავადმყოფო ს/კ N69.08.64.006) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო -სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა „ელექტრონული ტენდერის" საშუალებით.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
- გრიგოლ გიორგაძე — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო კომისიის წევრები:
- შოთა რეხვიაშვილი — მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
- გვანცა შენგელია — მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
-ბესარიონ ბუჩუკური — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
-ირაკლი დიხამინჯია — განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
-მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
-ირაკლი თოფურია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
-ნოდარ ყოჩიშვილი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- ნინო მენთეშაშვილი — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციათ უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის აპარატის წევრი - გიორგი კევლიშვილი.

დღის წესრიგი:
1. სამინისტროს ქ. ხაშურში, სააკაძის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის (ყოფ. საავადმყოფო ს/კ N69.08.64.006) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე „ელექტრონული ტენდერის" გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
2. სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ტექსტის განხილვა და დამტკიცება.
3. სატენდერო პირობების განსაზღვრა, ტექნიკური დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვა-დამტკიცება.

სატენდერო კომისიამ მოისმინა:
სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სამინისტროს სატენდერო კომისიას გააცნო სამინისტროს განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N 05/01-11-14/293, 29/10/2014;) რომლის თანახმად, სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს დაევალა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.

კომისიის აპარატმა კომისიას წარუდგინა აღნიშნულ სამუშაოებზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების ტექსტის პროექტი, ხარჯთაღრიცხვები, რომლის თანახმად განსახორციელებელი შესყიდვის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2 546 427 (ორი მილიონ ხუთასორმოცდაექვსი ათას ოთხასოცდაშვიდი) ლარს. ხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვა, კერძოდ, მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან ფინანსდება 636 607.00 ლარი, ხოლო მომდევნო წლის ბიუჯეტიდან 1 909 820.00 ლარი, რაზედაც არსებობს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა (წერილი N04-02/80914; 05/11/2014)

სატენდერო კომისიამ განიხილა:
1. სატენდერო დოკუმენტაციის ტექსტის პროექტი, რომელიც მოიცავდა ტექნიკური დავალების პროექტს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, გასაწევი მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულებას, სამუშაოს მოწოდების ვადებს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადებს, სატენდერო დავალებით დადგენილ ტექნიკურ და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ პირობებს;
2. განხილულ იქნა და განისაზღვრა სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი, რომლის ოდენობამ შეადგინა 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ხელახლა გამოაცხადოს „ელექტრონული ტენდერი“ სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე;
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს **2546427.00ლარის**, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - **25 000.00**ლარის ოდენობით.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნების თანახმად, ერთხმად იქნას მიღებული და დაამტკიცდეს სატენდერო კომისიის აპარატის რედაქციით წარმოდგენილი სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ტექსტი, თანდართული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით;
4. დაევალოს სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს 2014 წლის 6 ნოემბრისა უზრუნველყოს ელექტრონული სატენდერო განცხადების გამოქვეყნება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge), მოქმედი კანონდებლობის მოთხოვნების დაცვით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გრიგოლ გიორგაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

შოთა რეხვიაშვილი

გვანცა შენგელია

ბესარიონ ბუჩუკური

კახაბერ პეტრიაშვილი

ირაკლი დიხამინჯია

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ირაკლი თოფურია

ნოდარ ყოჩიშვილი

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია